№ 115
მაისის 31, შაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 115
მაისის 31, შაბათი 1903 წ
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 6 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის კამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 1 ივნისს, დილის 10 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია

საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1902 წ. მოქმედებისა;
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიური ანგარიშის შესახებ;
3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1903 წლისათვის;
4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და კანდიდატისა;
5) სხვა-და-სხვა მოხსენებანი;
6) არჩევნები საზოგადოების ახალის წევრებისა.

ძველ-სენაკის სამრეწველო ამხანაგობის „შუამავლის“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 1 ივნისს, დილის 10 საათზე დაბა ძველ-სენაკში დანიშნულია დასახელებული ამხანაგობის წევრთა წლიური საზოგადო კრება. განსახილველია შემდეგი საგნები:

1, განხილვა და დამტკიცება წარსული წლის აღებ-მიცემობის ანგარიშისა;
2, არჩევა ამხანაგობის გამგეობის ზოგიერთ წევრთა;
3, განხილვა ახალის წესდებისა;
4, გამორკვევა საკითხისა, თუ რამდენად სასურველია ქუთათურ ამხანაგობასთან „კოლხიდასთან“ შეერთება და რა პირობით უნდა მოხდეს ასეთი კავში.

ამხანაგობის მმართველი ა. წოთლიძე.
(2—133—2)

შაბათს 31 მაის საღამოს ხუთ საათზედ დანიშნულია საზოგადო კრება **ქართული სახალხო თეატრისა.** ავჭალის აუდიტორიაში, განსახილველია წლიური ანგარი და შემდეგ არჩეული იქნება 12 წევრი სექციისა.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1$^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1$^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობიუ და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბანინა** 7—7$^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7$^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7$^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіэна. Тифлисъ, противъ памят. Ворон-

(წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის მუსხელაშვილისა

(გედევანიშვილისეული)

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ.. და შაბათ. 10—11.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. ვ. ხოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. ზ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ოთხშ. და შაბათი. 5—6.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაკტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი ზ. დ. ნასარიძე.

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

46—8 ტელეფონი № 617

ტფილისი

✦ უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, ბათუმისა და ართვინის ოლქები ჩამოერთმევა ქუთაისის გუბერნიას და ცალკე ოლქს შეადგენს, განსაკუთრებულის სამხედრო გუბერნატორის განმგებლობით. ამ განკარგულების აღსრულების ვადა მალე გამოცხადდება.

✦ უმაღლესის მთავრობის-მიერ დამტკიცებულ იქმნა ახალი შტატები დედათა სასულიერო სასწავლებლებისა. მმართველთ, აღმზრდელთა თანაშემწეებითურთ და საავადმყოფოს ზედამხედველთ დედათა სასულიერო სასწავლეალებისა ყოველ ხუთის წლის სამსახურის შემდეგ მოემატებათ ერთი მეხუთედი ჯამაგირისა ვიდრე ახალ შტატებში აღნიშნულს ჯამაგირს არ მიაღწევს. კლასების ინსპექტორები და მასწავლებელნი, რომელთაც ღვთის მეტყველების მცოდნეთა ხარისხი ანუ გიმნაზიის მასწავლებლობის უფლება აქვთ, ჩინების მიღებაში გაუთანაბრდებიან სემინარიის ინსპექტორებსა და მასწავლებლებს, ხოლო მასწავლებელნი, რომელთაც საშუალო სწავლა მიუღიათ, ვაჟთა სასულიერო სასწავლებელთა, იმავე ხარისხის მასწავლებლებს გაუთანასწორდებიან ჩინების მიღებაში. ვინც დედათა სასულიერო სასწავლებლებში სწავლას დაამთავრებს, იმას მიენიჭება წოდება საშინაო მასწავლებლისა. ახალ შტატების შემოღებისათვის სახელმწიფო ხაზინა უმატებს სასულიერო-სასწავლებლის თანხას: 1903 წელს—39,374 მ. 50 კ. და 1904 წ. დაწყებული—78,749 მან. წელიწადში.

✦ ტფილისის გუბერნატორმა მოიწონა ქ. გორის მამასახლისის მოხსენება, რომ მომავალ ოთხის წლისათვის (1903—1907) ქალაქის რწმუნებულთა არჩევა 15 ოქტომბერს მოხდეს.

✦ ტფილისში მრავალი სასტუმრო ნომრებია, რომლის პატრონები მოვალენი არიან თავის სახელზე აიღონ ნება-რთვა გუბერნატორისა; პოლიცმეისტერს შეუნიშნავს, რომ ზოგი ნომრები სხვის სახელზეა აღებული და არა ნამდვილ პატრონებისა, და ამიტომ განკარგულება მოახდინა დაიხუროს ამისთანა ნომრები. ვისაცა სურს თავისი ნომრები სხვას გადასცეს, ჯერ უნდა გუბერნატორის ქაღალდი მოსთხოვოს, რომ ნება ეძლევა ნომრები გაალოს ტფილისში.

✦ ქალაქის სამმართველოს უფლება აქვს მინიჭებული სხვათა შორის გამოსცეს დებულება კვირაობით წირვა-ლოცვის დროს ვაჭრობისა და მუშაობის შეწყვეტისა, რათა ნოქრებსა და მოჯამაგირეთ შეეძლოთ ეკკლესიაში მისვლა და შემდეგ დასვენება. ეს დებულება ყველა მოვაჭრეთა და მექარხნეთათვის სავალდებულოა. ამ აზრით ქალაქის გამგეობის წევრმა შეიმუშავა დებულების პროექტი, რომლითაც კვირა დღე მხოლოდ შუადღიდგან ორ საათამდე უნდა ეუქმათ ქალაქელებს. ეს პროექტი არ მოსწონებია ტფილისის გუბერნატორს და თავის მხრით დაუმატებია, რომ სანოვაგით მოვაჭრეებს, მეპურეებსა და კონდიტრებს შეეძლოთ გააღონ მხოლოდ დილის ათ საათამდე; სასმელების მყიდველთ და მეტრაქტირეთ უნდა იმდენი მოჯამაგირე ჰყავდეთ, რომ კვირა-უქმე დღეს რიგ-რიგად ასვენებდნენ.

✦ 29 მაისს, სრულიად საქრთველოს სინოდის კანტორამ, ექსარხოსის ალექსის ნებადართვით და კურთხევით შინაურულად იდღესასწაულა კანტორის ქართლ-კახეთის განყოფილების მდივნის ს. გ. ჩიტაძის ორმოცდაათის წლის სამსახურში ყოფნის დღესასწაული. ორის საათის ნახევარზე მობრძანდა კანტორაში მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ექსარხოსი ალექსი არხიმანტრიტ გიორგის თანხლებითა; მობრძანდნენ სხვა პატივიმცემელნიც ბ. ჩიტაძისა: ეპისკოპოზი გორისა, ბენიამენი, სინოდის კანტორის წევრნი, ქალაქის სამღვდელოება, კანტორისა და ექზარხოსის კანცელარიის მოხელენი. ორს საათზე მოიყვანეს სადღესასწაულოდ მორთულს დარბაზში იუბილიარი ბ. ჩიტაძე. მას ექზარხოსი შაეგება, აკურთხა და ხელზედ იმთხვია. შემდეგ სინოდის კანტორის წევრმა დეკანოზმა მამა ე. ელიაშვილმა, რომელიც შემოსილი იყო, მგრძნობიარე სიტყვით მიჰმართა იუბილიარს, დაახასიათა იგი, როგორც კაცი, ქრისტიანი და პატიასანი მოხელე; შემდეგ მამა დეკანოზმა არხიდიაკონის კ. გარგარეთელის მოხმარებით გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ უხუცესმა მოხელემ სინოდის კანტორისამ ბ. ალ. არდაზიანმა მიჰმართა იუბილიარს ფრიად კარგის დამახასიათებლის სიტყვით და გადასცა პატივისმცემელთა სახელით ძვირფასი ალბომი. შემდეგ სადილის გამგეთ მიიწვიეს მხცოვანი სტუმარნი სასადილოდ. მაშინ მის მაღალყოვლადუსამღვდელოესმა ექსარხოსმა მოჰხვია ხელი იუბილიარს, თითქმის გულში მიიხუტა იგი, და გრძნობით უთხრა, რომ იგი მადლიერია მისი, როგორც უანგარო, პატიოსნის და პირუთვნელის მდივნისა. სადილის დროსაც ბევრი საგულისხმიერო სიტყვები ითქვა, რომლის ვრცლად აღწერას ეხლა არ შეუძლებიათ, რადგან ცალკე წიგნაკად აპირებენ გამოცემასა.

სადილმა რომელმა გასტანა ხუთ საათამდე ერთობ მხიარულად ჩაირა.

✦ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება, მალე კავკასიაში დაბრუნებას აპირობს და ამისათვის საგანგებო ვაგონი დაუბარებია ტფილისიდან. როგორც „ახ. მიმ.“ იუწყება, რკინის გზის სამმართველოს კიდეც გაუგზავნია ეს ვაგონი.

✦ იმავე გაზეთის სიტყვით, ტფილისის ქალაქის მოურავი 6 ივნისს დაბრუნდება ტფილისს პეტერბურგიდან.

✦ დღეს, 31 მაისს, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია კრება მოხარჯეთა საზოგადოებისა, რომელსაც განსახილველი აქვს 20-მდე საქმე.

✦ ტფილისსა და მის გარშემო ამ ბოლოს დროს ყოველ დღე ახირებული წვიმა მოდის და დიდს ზარალს აძლევს, არამც თუ სოფლელებს, არამედ ქალაქში მცხოვრებთაც. გუშინ-წინ, 29 მაისს, ნორიო მარტყოფისაკენ ისეთი წვიმა ყოფილა, რომ ხევები მდინარედ ქცეულა და უმსხვერპლია ერთი კაცი და რვა ძროხა.

✦ ტფილისის წიგნის მაღაზიების პატრონთ ბათუმიდგან მოწოდება მოუვიდათ, შევერთდეთ და ერთი ამხანაგობა დავაარსოთ წიგნების გამოცემისა და ვაჭრობისაო. ამ ახალ საზოგადოების „კავშირს“ არქმევენ. ამხანაგობა ჰფიქრობს გამოსცეს საუკეთესო და სასარგებლო წიგნები, კარგად შედგენილი სახალხო კალენდრები, გამოჩენილ კაცთა სურათები და სხვ. პაი უნდა იყოს არა ნაკლებ ხუთის თუმნისა. პაის პატრონს ამხანაგობისაგან ექნება ათის თუმნის კრედიტი. ამხანაგობამ უნდა იყოლიოს სოფლად ყოველს მაზრაში თითო დამტარებელი და გამყიდველი წიგნებისა.

ვისურვებთ ახალ ამხანაგობის დაარსებასა და წარმატებას, უკეთუ იგი მართლა ხალხისათვის იზრუნავს და ახალ მოდის სინდიკატებისა და მონოპოლიის გზას არ დაადგება, რომ წიგნების ვაჭრობა ხელთ იგდოს.

საერო მასწავლებელთა უფლებანი.

ყოველ დაწესებულების კანცელარიის მოხელე მაღლა სდგას უფლებით საერო მასწავლებელზედ; მოხელე, თუმცა დაბალ საფეხურიდგან იწყებს სამსახურს, ათი-თორმეტი მანეთით თვეში, მაგრამ დაიმედებული არის, რომ ოდესმე... ათი-თორმეტის მანეთის მაგიერ, ათი-თორმეტი თუმანი დაენიშნება თვეში, თან ხარისხსაც იშოვნის და პენსიასაც დაიმსახურებს.

საერო მასწავლებელი-კი თითქმის მუდამ ოცოც-და-ხუთის მანეთის ამარა რჩება; აღარც იმედი აქვს მომავალში თვისის ნივთიერის მდგომარეობის გაუმჯობესებისა, არც მაღალ საფეხურზედ ასვლის მოელის, არც ხარისხსა და არც პენსიას. ხედავს, ცხადად ხედავს, რომ მოხუცების დროს, როდესაც სამსახური აღარ შეეძლება, სიგლახავე მოელის...

განა შეიძლება 85 კაპეიკით დღეში მასწავლებელმა ცოლ-შვილი და თავის თავი შეინახოს, ჩაიცვას, დაიხუროს, იქქიმოს, ჟურნალ-გაზეთი გამოიწეროს და კიდევაც შეინახოს რამე შავის დღისათვის? ამას მოახერხებს დიდის ეკონომიით მხოლოდ ის მასწავლებელი, რომელიც მსახურებს თავისს სოფელში, სახლ-კარი და ადგილ-მამული მოუძებნება და ჯანმრთელად არის; იქმნება მაშინ გადასდოს როგორმე თვეში 5—7 მანეთი.

კანცელარიის მოხელეს სამსახური ეთვლება, მეთორმეტე კლასის მოხელედ ირიცხება, კოლლეჟსკი სეკრეტრის ხარისხს იღებს ათის წლის განმავლობაში... საერო მასწავლებელს-კი არც მეთორმეტე კლასის სამსახური აქვს; იქმნება... პირველი ჩინი, კოლლეჟსკი რეგისტრატორობა მისცენ და ისიც ათი-თორმეტის წლის შემდეგ...

ახლა გავაცნობ მკითხველებს, თუ რა უფლებანი აქვთ მინიჭებული საერო მასწავლებელთ: 1) ისინი თავისუფლდებიან სამხედრო ბეგარისაგან იმ შემთხვევაში, თუ იმსახურებენ მასწავლებლად არა ნაკლებ ხუთის წლისა; 2) 12 წლის სამსახურის შემდეგ ეძლევათ წოდება პირადის საპატიო მოქალაქისა; 3) შეუძლიანთ შვილები აღზარდონ საშუალო სასწავლებლებში უფასოდ, თუ მსახურებენ მასწავლებლად, ანუ იმსახურეს არა ნაკლებ ათის წლისა სამინისტროს სკოლებში.

მეთოთხმეტე კლასის ხარისხით ათის წლის შემდეგ ჯილდოვდებიან ის მასწავლებელნი, რომელთაც სასტატო სემინარიაში დაუმთავრებიათ კურსი, რომელნიც-კი სხვა სასწავლებლებიდგან არიან და შემდეგ მოუპოვებიათ მასწავლებლობის წოდება უმაღლესად დამტკიცებულის 22 აპრილის 1868 წ, ანუ 1896 წლის წესდების ძალით, ისინი გარიყულნი არიან, ესე იგი, არ იციან დანამდვილებით, ეძლევათ იმათ ეს ხარისხი თუ არა და, თუ ეძლევათ, რამდენის წლის სამსახურისათვის...

საერო სკოლათა დირექცია კავკასიაში დაარსებულ იქმნა 1870 წელს; ამავე წლიდგან მიეცა უფლება გიმნაზიებს და რეალურ სასწავლებელთ დაწესებულ პროგრამით გამოცადათ და მიეცათ მსურველთათვის მასწავლებლობის მოწმობა. სასტატო სემინარიები-კი დაარსდა კავკასიაში 1871—76—81 წელს.

თუ სემინარიაში კურს-დამთავრებულთ მიენიჭა ეს უფლება, არა გვგონია უსამართლობა იყოს, რომ იგივე უფლება მიეცეს იმ მასწავლებელთაც, რომელთაც დაიმსახურეს მეთოთხმეტე კლასის ხარისხი 1868 ან 1896 წლის წესდების ძალით.

საჭიროა, რომ ეს საკითხი ახსნილ იქმნას უმაღლეს მთავრობის მიერ.

თვალით ნანახი ამბავი.

26 მაისს გავემგზავრე ჩემს სოფელში, მამულების დასათვალიერებლად. ჩემთან ერთად ცხინვალში მიმავალი მგზავრები მიამბობდნენ საშინელ ამბებს სეტყვისა და თქეშისაგან ცხინვალის ხეობის მამულების დაზარალებისას.

ამ მუსაიფით მივედით ს. ტყვიავში. მე დავშორდი იმათ და გადავხედე ტყვიავის ვენახებს, ბაღებს და მინდვრებს. გულში მიამა რაკი ჯვარ წერილად იყო და არა გაფუჭებულიყორა. გავცდით ტყვიავს თუ არა შევეკითხე მეურმეს: მაშ 19 ამ თვეს ძრიელ მოვიდა ჩვენში სეტყვა მეთქი? იმან ერთი გულსაკლავად ამოიოხრა და მიპასუხა:—დიახ, წარსულ სამშაბათს ისე მოვიდა სეტყვა, რომ სულ თეთრად დასდო მთელი არემარე, ერთი ხელის სისქეთ იდო სეტყვა. ახლა მეორე დღეს თქეში და ავდარი, წყლები მოვარდა და სულ გაგვიფუჭა ქინახულები. ყოველ ორ დღეში ერთხელ კოკისპირულად წვიმს, ეს მესამე მთვარეა გადუღებლივ ავდრობს, დავ-

რჩით უხნავები. ე სიმინდები ჯერ არ დაგვითესია და არ ვიცით რითი უნდა გავცეთ ხემწიფეს, ბატონს, ღვდელს და „ბორჩიკს“ და შკოლის ფულს პასუხი. რა ტიალობით შევინახოთ ცოლშვილიო და თან ხარჯს სახრე დადააწნა დაძმარებულმა.

მიუვახლოვდით ს. ქერეს და მართლა საზარელი სურათები გადაიშალა ჩემ თვალწინ. ყანები ნახევრად სულ წალეკილი და გადარეცხილი, სიმინდები, ვისაც მოესწრო და დაეთესა, ამოსული და ძალზე სათოხნი ხელიდამ გამოეცალა პატრონისთვის ნიაღვარს. მივახლოვდით კოშკის მამულებს და ისიც უარესად გადალამული და გადარეცხილი დავიხვდა, მხოლოდ აქა-იქ სჩანდა ქინახული. აგრეთვე ვენახები ძრიელ არის დაზიანებული სეტყვისაგან, ხილი სულ გაუნახევრებია სეტყვას და რაც შერჩენია დაკოჟიჟებულია და სცვივა ძირს. გაფუჭებულია ს. ქერესისა, კოშკისა, მერეთისა, დისევისა, კარბისა, ზარდიანთ კარისა, ქსოვრისისა და სხვა მამულები.

მივედი გულნატკენი სახლში. საღამო ხანი იყო. მცხოვრებლები კოშკისა მოვიდნენ და მიამბეს თუ როგორ დაღუპულან. თანაც დაუმატეს, ხვალ სწორეთ სწორია რაც გაგვაუბედურა ღმერთმა და დაგვსეტყვა, ამიტომ ხვალინდელი დღე უქმეთ უნდა დაიდოს და ღვთის სამღვთოცა გვაქსო.

27-ის დილის ათი საათი იქნებოდა, რომ ხალხი შეიყარა ერთ მოსახლის კარებზედ და წელმოწყვეტილნი, მწუხარებით ძალას ატანდნენ თავს და ცხვრებს ჰხოცავდნენ; ქალებს ცალკე ჰქონდათ სამღვთო, კაცებს ცალკე. გარშემო სოფლებშიაც იმდღეს ყველგან ჰქონდათ სამღვთო. ხალხი მუსაიფობდა თუ ვისი მიწა უფრო გაფუჭებულია ნიაღვრისგან და ვისი ვენახი უფრო დასეტყვილია. ამ მუსაიფში იყვნენ, როდესაც ერთი ჭექა-ქუხილი ასტყდა და გრიალი; მოჰყვა ხოშ-კაკალი, დაუშვა კოკისპირულად. ხალხი ფერ-გადატეტკილი, ტუჩებ გაფითრებული, დადუნებულის ხელებით ძლივს პირჯვარს იწერდა და ევედრებოდა ღმერთს უბედურებისაგან ხსნას. შესთხოვდნენ, ნუ ჩამოაგდებ, შენი დიდებულობის ჭირიმე, შიმშილობას, დაგვიხსენ ამაზედ მეტი უბედურობისაგანო. მაგრამ განრისხებული უფალი უფრო უმატებდა ჭექა-ქუხილს. მოვარდა უცბად მდინარე (დისურა), წამოვიდა მინდვრებზედ, შევარდა ე. ჩ—ს ბაღში, მოგლიჯა ბოლო და გვერდი ღობისა, გადალეკა სულ მთლად რაც დათესილი იყო, წაიღო მარგილები. ისეთი წყალი მიდიოდა შუა ბაღში კაცს ეგონებოდა ლიახვის ტოტი გადაუგდიათო, დაეშვა სოფლის მინდვრებში და რაც ერთი კვირის წინეთ გადარჩენოდა სეტყვას და ნიაღვარს ეხლა ამ წყალმა სულ წალეკა. ახლა სოფლის ბოლოს მოვარდა უზარ-მაზარი წყალი (ჭარებულა), გადარეცხა მთლად არემარე, დაგლიჯა ხეები და დაეშვა კარბისკენ. რაც გზაში მამულები, ნათესები, ბაღები და ვენახები შეხვდა გააფუჭა, ჩაუარა ნახევრად ტყვიავს და ყველაფერი სულ წალეკა, ჩაჰყვა კარალეთში და სულ გაანადგურა, ზოგისა ვენახები და ზოგისაც ყანები და სიმინდები; გააფუჭა კარალეთის გზები, დალეწა გზის პირად უშველებელი ხეები, მოგლიჯა კარალეთის ხიდი, დაუნგრია ქვიტკირის სახლი სოსო ხარიბეგაშვილს და წაიღო რაც ებადა. სულ აახრა გარშემო სოფლების მამულები; საბრალო ხალხისა არც სამღთო შეიწირა ღმერთმა, არც ვედრება და ქვითინი შეისმინა. 28 მაისს ჩამოვლაზე სულ თვალებზედ ხელს ვიფარებდი იმ საცოდაობას, რომ ვხედავდი. ბევრი მამულებში გამოსულიყვნენ პატრონები და თავს დასტიროდნენ ერთი კვირის წინეთ სამსე ყანას, ეხლა-კი ცარიელ გორიახს, ღორღს და მთლად გადაბრუნებულს ცარიელ მიწებს. რა საზარელი სანახავია ეხლა ეს მამულები, რომელიც ჩემმა თვალებმა ნახა. ნეტავ იმას, ვისაც არ უნახავს და მარტო გაზეთში წაიკითხავს. ძალიან საჭიროა მთავრობამ კეთილ ინებოს, კაცი გაგზავნოს და აწეროს რამდენია ზარალი და შემწეობა აღმოუჩინოს.

კოშკელი ლიხა.

მეფე ერეკლე და მისი წერილები.

XV

გივმა დიდი ამაგი დასდო საქართველოს იმ ხანად: დაღისტნელ ლეკებს საიდუმლოდ აქეზებდა შაჰნადირის წინააღმდეგ და ოსმალეთიც ხომ შეაბრძოლა. გაუჭირდა საქმე შაჰნადირს.

გივმა ქართლი ფეხზედ დააყენა—ყიზილბაშების დამღუპველი ბატონობა სად შეგვიძლიანო?

მიზეზი ეს იყო, რომ კავკასიაში მოტანებულმა შაჰნადირმა გაანება თავი დაღისტანს და გაუშურა ყარსისაკენ ოსმალებთან საომრად, ხოლო გივმა მედგარი ბრძოლა აუტეხა შაჰნადირის მომხრე ორბელიანებს და თეიმურაზ-ერეკლეს.

საქმე იქამდე გაუჭირდა შაჰნადირს, რომ ეხვეწებოდა თეიმურაზს—ოღონდ გივი ამილახვარი შემარიგეთ, ქართლი დააწყნარე და ყოველ სათხოვარს შეგისრულებო, ქართლიდგანაც ხარჯი აღარა მინდაო. [1]) თან ათას თუმნობით უგზავნიდა თეიმურაზს და ძმობილს უწოდებდა.

მაგრამ სწორედ ორის წლის შემდეგ, შაჰნადირი რომ წელში გაიშალა, უთვალავი ხარჯი (არბაბი) შემოაწერა ქართლსა და ახლა თვით თეიმურაზი და ერეკლე გაუდგნენ შაჰნადირსა, ქალაქიდგან ანანურში გაიხიზნენ.

გივი ამილახვარი მაშინ მოაგონდათ, რომ შაჰნადირი ეგრე ადვილად სანდობი არ იყო.

გივის სამწლოვანი ბრძოლავე შეიქმნა საბაბად, რომ შაჰნადირმა 1745 წ. 1 მაისს, თეიმურაზს ქართლის მეფობა უბოძა და ერეკლეს კახეთისა. თუ გივის ბრძოლა არა, შაჰნადირის სიცოცხლეში საქართველო მეფეს სიზმრადაც ვერ ნახავდა.

შაჰნადირმა შემოუთვალა თეიმურაზს—გივი ამილახორი დაიჭირეთ და ჩემთან გამოგზავნეთო. მეტი რა ღონე ჰქონდათ, დაიჭირეს გივი, სამი დღე მაღლა ციხეში ჰყვანდათ და მეოთხე დღეს გაგზავნეს, თან გაატანეს, მორდალი სოლომან გურგენიძე და ყაზახის სულთანი. წინ გაგზავნეს ეშიკაღაბაში სულხან ჭავჭავაძე და სთხოვა შაჰნადირს დანაშაულის პატიების წყალობის წერილი.

გივის მოშორებით ქართლის ვაებას ბოლო არ მოუღო: უარესი ცეცხლი დაადგა: ოსმალ-ლეკნი ზედი-ზედ ესეოდნენ, ახლა ოსებიც დაემატნენ და უწყალოდ იგლეჯდნენ ქართლის არე-მარესა. სომხეთი ხომ გაანადგურეს.

როგორც შემდეგ დავინახავთ, გივი ამილახვარს ბევრნი თანაუგრძნობდნენ შინ და გარეთ. ბატონიშვილი აბდულაბეგი (ანტონ კათალიკოზის ძმა) პირველი საიდუმლო მომხრე იყო გივისა: იგი ასე ამბობდა—თუ ბაქარი გამეფდა, ხომ კარგი და კარგი, თუ არა ქართლი ჩემი უპრიინიაო. თვით ანტონ კათალიკოზიც საიდუმლოდ ხელს უწყობდა ამ შეთქმულებასა. აბდულაბეგი დაიმედებული იყო—გივი ამილახვარი თავისას გაიტანსო, და მხოლოდ მარჯვე დროს ეძებდა თითონაც აეხსნა იარაღი თეიმურაზ-ერეკლეს წინააღმდეგ. მაგრამ თეიმურაზის გონივრულმა პოლიტიკამ ცივი წყალი გადაასხა შეთქმულობის მოთავეებსა: ტკბილის სიტყვით შეთქმულნი ერთმანეთის გადაჰკიდა, დაქსაქსა და დაასუძლურა; სადაც თეიმურაზი ხმლითა და ტყვია-წამლით უძლური იყო, იქ ტკბილი სიტყვით გაჰქონდა.

რუსეთის პოლიტიკა შაჰნადირის დამარცხებასა და დაღუპვას უმართავდა ხელს. რა თქმა უნდა, გივი ამილახვარი და აბდულაბეგი უნებლიეთნი ხელის შემწყობნი იყვნენ რუსეთის პოლიტიკისა: სარწმუნოებრივი ურთიერთობა პირბადესავით უთახსირებდათ ნამდვილს საზრსა და გონებრივს მსჯელობასა...

თეიმურაზ-ერეკლე მაინც მხნეობდნენ და სადაც მოატანდნენ ოსმალებსა და ლეკებს დაუმარცხებელს არ გაუშვებდნენ. ამიტომ შაჰნადირმა შემოუთვალა თეიმურაზს—როგორც ძველადგან წესი გქონოდეთ, იმ წესით მეფედ ეკურთხეო“.

ამ სამხიარულო ამბავმა ქართლს ცოტა ხნობით დაავიწყა სამწარით სავსე თავგადასავალი.

---

[1]) შაჰნადირისთვის მისწრება იყო გივი ამილახვარის დამორჩილება. შემოუთვალა თეიმურაზს—ამილახვრის ციხეები დაანგრიეთო. ეს საქმე ამირინდო ამილახვარს მიანდეს. დაანგრია სურამისა და კეხვის ციხეები. ცხვილოსის და ახალდაბის ციხეები-კი შეინახა,—მერე დაგვჭირდებაო.

ჩვენებური ამბები

ლეხურის ხეობა. 27 მაისი მეტად ნიაღვრიანი დღე იყო ლეხურის ხეობაში. კასპის ზემოთ, კლდე-მაღალას ციხესთან, მდ. ლეხურაზედ გადებულია ხის ხიდი, მაგრამ დღეს ისეა დაძველებული, რომ მასზედ უშიშრად გასვლა-გამოსვლა შეუძლებელია. დიდს მადლს იზამდა ამ ხიდის გამკეთებელი, რომ მალე იზრუნოს რამე ამ ფრიად საჭირო ხიდის გაახლებისათვის, თორემ მთელი ხეობა დიდს გაჭირვებაშია ჩაყენებული.

27 მაისს ტფილისიდგან მიმავალი მგზავრები უცაბედად დაესწრნენ შემდეგს სამწუხარო შემთხვევასა: შუადღის უკან, ასე ექვს საათზედ, ამ მგზავრების თვალწინ უცებ მოვარდა ნიაღვარი და მთელი განიერი რიყე დაიჭირა. წინ მოაგორებდა რაგინდა რას ქვას, ნარიყს, ბუჩქებს—რაც-კი რამ წინ დახვედროდა. თან მიჰქონდა ხე-ტყე, სადღაც დანგრეულის წისქვილებისა, მოგლეჯილი ღობეები, უზარმაზარი ახლად მოგლეჯილი ხეები და სხ. მგზავრები შედგნენ ხიდთან, ბარგი-ბარხანა რის ვაი-ვაგლახით გაზიდეს ხიდზედ, ორი ფაიტონი და ხუთი ცხენი ხიდზედ გაიყვანეს კანკალით; ორი ფაიტონი და ერთი ურემიც უფრო გულადებმა ზევით ფონზედ გაიტანეს, წყალ-წყალ, რადგან იქვე ძველ ნაგზაურთან ვერხვებში გასვლა შეუძლებელი იყო. ის იყო უკანასკნელი ფაიტონი გაჰქონდათ მგზავრებს დამაბუნებულს ხიდზედ, რომ მიირბინა კასპელმა ახალგაზდა გლეხმა ბასილა მიმპარაკმა და მეექვსე ცხენს დაუპირა გაყვანა წყალში, რადგან ფონხვალი იყო და ხიდზე ეძნელებოდათ მისი გაყვანა. მგზავრებმა ბევრი უშალეს, რადგან ბასილას ცოტა ზარხოშობა ეტყობოდა—თავი დაანებე, ჩვენ გავიყვანთო, სამჯერ აშვებული ცხენი ისევ დააბრუნეს, მაგრამ როგორღაც მოახერხა უჩუმრა ცხენის აშვება და, ზევით ფონზედ მოვლის მაგიერ, იქვე ნაგზაურიდგან ასკუპა ცხენი საცოდავმა. წყალმა ჩაძირა ცხენი მხედრიანათ, მაგრამ იმ წამსვე მეორე ნაპირას გარიყა, ორივე—ცხენიც და ბასილაც მშვიდობიანათ წამოდგნენ. დასძახეს ხიდიდგან მგზავრებმა ცხენს ხელი გაუშვიო (კუდზედ მაგრა ეჭირა ხელი), მაგრამ ბასილამ ხელი არ გაუშვა და ვიდრე ხელით თავპირზედ წყალს ჩამოიწურავდა, ცხენი დაბრუნდა თავქვე და პირდაპირ გააქანა ისარივით ხიდს ქვეშ და ახლა ქვეით გარიყა. მგზავრებმა ახლა აქ დასძახეს—„გაანებე ცხენს თავიო“, აქ მუხლამდის ძლივს იდგნენ წყალში—ცხენიც და ბასილაც, მაგრამ ხელი მაინც არ გაუშვა ცხენს საცოდავმა.

რაღაც საუბედუროდ ცხენი კვლავ მობრუნდა მარჯვნივ შურდულივით მიმდინარე ლეხურისაკენ და ახლა აქ გააქანა თავქვე. აქ-კი საცოდავი ბასილა თავით დაახალა კლდეში გამოშვერილ ქვასა, თუ ხესა და აქაფებულმა მდინარემ წუთისოფელს გამოასალმა საცოდავი ბასილა, ოც-და-ხუთის წლის ბიჭი, სამი წლის ჯვარდაწერილი... იმ საღამოს რომ შებინდდა, ცხენზედ გადაკიდებული გვამი ბასილასი კარზედ მიაყენეს ატიალებულ ოჯახსა.

ერთი მგზავრთაგანი.

სურამი. წელს მოაგარაკენი ძალიან ნაკლებად მოვიდნენ ჩვენს დაბაში. ამის მიზეზად ბევრნი სთვლიან იმ გარემოებას, რომ წრეულ ჯარი არ მოდის. მართალია ჯარი არ მოდის აქ მაგრამ მათი მოუსვლელობა მოსატანი არ არის. რა აკლდება სურამს ჯარის მოუსვლელობით? არაფერი, პირ-იქით ემატება: სანოვაგე უფრო გაიაფდება და მოაგარაკისათვის უფრო ხელმისაწვდომი იქმნება სურამში ცხოვრება.

ზოგნი ამბობენ, სურამს გასართობნი მოაკლდება და სწორედ ამ გართობისათვის დადიან საგარაკოდაო. ეს მიზეზიც არ არის საყურადღებო; გართობა ისევ იქმნება; მუსიკა დაუკრავს ორთავ პარკში, რომლის პატრონებსაც საგანგებოდ ჰყავთ მოწვეული მუსიკა. ამას ზედ დაურთეთ ის გარემოება, რომ წრეულ სახლის პატრონები ძალიან აღარ ხარბობენ და ხელმისაწვდომ ფასად აქირავებენ სახლებს და მაშინ ნათლად დავინახავთ, რომ წრეულ სურამში საგარაკოდ მოსვლა—წაგება არ იქმნება.

ამ თვის 28-ს სურამში მოვიდნენ იუნკერთა სასწავლებლის მოსწავლენი, რომელნიც საგარაკოდ აქ დარჩებიან.

სურამში ახალგაზდებმა განიზრახეს სცენის მოყვარულთა გუნდის შედგენა და ყველასათვის ხელ მისაწვდომ ფასად წარმოდგენების მართვა მთელს ზაფხულს.

ჩვენსკენ მოსავალს ჯერ-ჯერობით ძალიან ცუდი პირი უჩანს. ჯერ იყო და ზამთარში დალპა მარცვალი მიწაში და ხელმეორედ გაზაფხულზედ დასთესეს ყანები, ახლა-კი გამუდმებული წვიმებია, ხეხილი ძალიან დაზარალდა.

ა—ნა

ფელეტონი

„ხანჯალსაც სისხლი გამოჰყვა“

(სურათი)

ნათლი-ღება დღეა. ხალხი ამ დღეს დიდის სიხარულით და სასოებით ელოდება. სოფელი *** დიდი და პატარა ამ დღისთვის ემზადება; პატარძლები კაბებს იკერავენ, გასათხოვარი ქალები—„პერელინებს“ და ყმაწვილი ბიჭები—ჩოხებს, ჩუსტებს და, ვისაც აბადია, ვერცხლის ქამარ-ხანჯალ სწმენდავს. ამ დღისთვის სოფლის ერთის ნაწილის ოჯახის შვილები და მოხუცებულები უხვად სასმელ-სანოვაგეს ამზადებენ, რათა მტერ-მოყვარესთან არ შერცხვნენ და თავი ისახელონ გულუხვის მასპინძლობით. ამ დღეს მთელი სოფლის სამღვდელოება და ხალხი, სოფლის თავში, დიდ ეკკლესიასთან, რომელსაც ცის კამარასავით სუფთა წყარო ჩამოუდის გალავანში, იკრიბება იორდანესთან წყლის საკურთხებლად. აქვე თავს იყრის სოფლის ვაჟ-კაცობა და გასათხოვარი ქალები. ერთმანეთს გულის ფანცქალით შეჰყურებენ; ურთიერთს ეწონებიან, ეცნობებიან. ეკკლესიის მსახურთა ლოცვა-ვედრებისა ნაკლებ ესმით, თავთავისი სალოცავ-სათაყვანებელი გასჩენიათ გულში.

ცივი დღე იყო 6 იანვარი. უხვად მოსულს თოვლს ხეების ტოტები დაემძიმებინა, დაეტვირთნა და ძირს დაეხარა. სიცივეს თოვლი გაეყინა და ბროლის წვრილ-წვრილა ნამსხვრევებისთვის დაემზგავსებინა. თუმცა ძალიან ციოდა, ხალხი მაინც ბლომად იყო შეყრილი საყდრის ეზოში. უცებ რომ თვალი გადაგევლოთ, ათას ფეროვან ყვავილებით აჭრელებული ტყე-ველი გეგონებოდათ, ისე დართულიყო ქალი და კაცი. მანდილოსნები და უფრო პატარძალ გასათხოვრები იორდანესთან ახლო, დიდრონ ას წლოვან მუხებ ქვეშ იდგნენ და აქედგან ცბიერად იყურებოდნენ ირგვლივ, ათვალიერებდნენ გულის მეპასუხე, მესაიდუმლე ბიჭებს. ბიჭებიც, ერთი მეორეზედ საუკეთესო ჩაცმულ-დახურულნი ქალ-რძალთა პირდაპირ ჩამწკრივებულიყვნენ.

ისმოდა დიაკვნის კითხვა და სოფლის მოწაფეთა მწყობრი გალობა. მოწაფენი ამ დღისთვის განზრახ მოემზადებინა მასწავლებელს.

აქა-იქ ბიჭ-ბუჭები თოვლის გუნდას ისროდნენ. ერთს მათგან გუნდა მაღლა წაუვიდა და თოვლით დატვირთულ მუხის ტოტს მოხვდა, სწორედ იმ ალაგას, სადაც ქალ-რძალი იდგა. ტოტი შეირხა, თოვლი ძირს უხვად ჩამოცვივდა, ქალებს დაეფრქვა თავზედ და წივილ-კივილი ასტყდა.

პატარა ბიჭის მაგალითს დიდებმაც წაჰბაძეს; გუნდას გუნდაზე ისროდნენ და სცდილობდნენ იმ ტოტებისთვის მოეხვედრებინათ, სადაც გასათხოვარი ქალები იდგნენ. იმათი სიცილ-ხარხარი, კეკლუცად გარბენ-გამორბენა ვაჟებს სიამოვნებას ჰგვრიდა, ახარებდა.

— ყარაულაანთ ქალს დახეთ, ყარაულაანთ ქალს!—გაისმა ხმა. ყველამ იქით მიიხედა, სადაც ყარააულაანთ ქალი, მელა იდგა. ეს იყო 16—17 წლის სიცოცხლით სავსე კოხტა გასათხოვარი ქალი. მის დიდრონ შავ თვალების გამომზირვა კაცს ისარივით ესობოდა გულში. ერთ ნაწნავად დაწნული წაბლის ფერი, სადრეკამდის ჩაზრდილი თმა ამშვენებდა მელას ფართო მხარ-ბეჭს და წერწეტ ტანს. მელა კოხტად და თითქმის მდიდრულად იყო ჩაცმული.

ყველას მოსწონდა ყარაულიაანთ ქალი, მეტადრე საქორწილო ბიჭებს, რადგან სიმშვენიერესთან ერთად, მელა კარგი ოჯახის ქალიც იყო, ბლომად ქრთამ-მზითევი ჰქონდა გამზადებული.

ვიღაცამ გუნდა იმ ხეს და უფრო ხის ტოტს მიარტყა, რომლის ქვეშაც ყარაულიაანთ ქალი იდგა და ირემივით თავმომწონედ იყურებოდა. გუნდა მარჯვედ იყო გასროლილი, რადგან იმდენი თოვლი ჩამოცვივდა და ზედ თავზე დაედო მელას, რომ სხვა ქალების მიშველებაც დასჭირდა, რათა თავი გაენთავისუფლებინა უსიამოვნო სტუმრისაგან ამ ყინვა-სიცივეში. მელამ ეს გარემოება თითქმის არც-კი არად მიიჩნია. რამდენისამე წუთის შემდეგ ისევ წელანდელივით დაიწყო მზერა, ცოტა არ იყოს, დარცხვენილ-აწითლებულმა, რაც მის სიმშვენიერეს უფრო ეშხს აძლევდა, აშნოიანებდა.

ხალხში სიცილი გაისმა ამ ამბავზე. ზოგი გუნდის გამსროლელს აქებდა სიმარჯვისათვის, ზოგი სძრახავდა: რა საქციელია, რა საკადრისიაო. ქალებმაც ჩუმი კისკისი შეჰქმნეს და ისევ მალე ჩაჩუმდნენ.

ეს ამბავი არც-კი არავის დაახსოვდებოდა, რომ იქ ორი ყმაწვილი ბიჭი არა მდგარიყო. ერთი იყო ელიზბარ ტრაბახაძე, მეორე შაქრო მენაბდიშვილი. რამდენადაც პირველი შეძლების პატრონი იყო, იმდენად მეორე ღარიბი დედმამიშვილი. ელიზბარ ტრაბახაძე — ასე ოცი, ოც და ხუთის წლის ყმაწვილი ბიჭი იყო, შუა ტანისა, ახლად ამწვანებულ წვერ-ულვაშით. ტრაბახაძეს მამამ სახლ-კარი და მამულ-დედული რიგიანი დაუტოვა. თითონაც შრომის მოყვარე ბიჭი იყო, მეურნეობასთან ერთად ალებ-მიცემობასაც მისდევდა. ერთხელ ორჯერ ვაჭრობაში დუშაშიც მოუვიდა, რამდენიმე ასი მანეთი შეიძინა და გარემოებამ ბუნებით უნიჭო, ბაქია ყმაწვილი კაცი ძალზე გაათამამა.

დიდის აზრისა იყო თავის თავზე ტრაბახაძე. აღარავინ აღარად მიაჩნდა. მისი უშნო და ულაზათო სიცილ-ხარხარი ყველას ყურში ეჩოთირებოდა. ტრაბახაძეს, ნიშნად ფულიან კაცობისა, ხელში მუდამ ათ თუმნიანი ეჭირა და თითქმის ყველას აჩვენებდა.

— ჩემი ბატონი არავინ არის, არც არავინ ჩემზე ჭკვიანი, მე ვარ და ასე მინდა,—გაიგონებდით ხშირად ტრაბახაძისაგან და ჯიბეზე ხელს გაიკრავდა. ტრაბახაძეს საზოგადოდ, როგორც გლეხის ოჯახიდან გამოსულს, რომელიც თავის სამაზრო ქალაქს არ გასცილებია, არა უნახავს-რა, არა უსწავლია-რა, თავის კერპად ფული გაუხდია. ფული, მისის რწმენით, ყველაფრის გამკეთებელია: ფულით მდინარეც უკუღმა დატრიალდება, სამართალიც ფულისკენ იხრება.

თვით ბუნებით ელიზბარ ტრაბახაძე ძუნწი ახალგაზდა იყო. მის სახლში სტუმარი იშვიათად შევიდოდა. სახლიც არც თუ ისე დალაგებულ-მოწყობილი ჰქონდა, მხოლოდ გარედ უყვარდა ტრაბახაძეს თავის გამოჩენა, ვერცხლის ქამარ ხანჯლით, ლაზათიანის ტყავკაბა-ქუდ-მერდინით იცოდა უქმეებში გამოსვლა. ისეთს ადგილს დადგებოდა, რომ ყველას დაენახა, ყურადღება მიექცია.

შაქრო მენაბდიშვილი, ტრაბახაძესთან შედარებით, სულ სხვანაირი ბიჭი იყო. გარეგნობით ტანად-თვალადი, საღი ჯანის პატრონის პირისახე ჰქონდა. ჩასხმული, მხარ-ბეჭიანი, შესაფერის სიმაღლისა და შესაფერისავე სიამაყე-თავაზიანის ქცევისა. მენაბდიშვილი მნახველს სიამოვნებას ჰგვრიდა, უნებლიედ თავს აყვარებდა. დედ-მამა მეტად ღარიბი ჰყვანდა შაქროს. მოიზარდა თუ არა, გარჯა დაიწყო და მშრომელი ბიჭიც დადგა. დღე და ღამეს ასწორებდა, ოფლს ჰღვრიდა, რათა მეზობელ ბიჭებს გასწორებოდა შეძლებით და იმასაც ქვეყანაში, სოფლის ავ-კარგში წილი სდებოდა.

კარგადაც მიჰყავდა შაქროს საქმე, რაც-კი შეიძლებოდა მოკლე ხანში, თავისს მხნელმთესველობით, მემამულობით და მარჯვე ანგარიშიანი გარჯილობით გამოაბრუნა ოჯახი და ახალის სახლის დადგმასაც აპირებდა.

მთელი სოფელი იცნობდა შაქროს. „შაქროს ყანის მკა, შაქროს ბარვა-თოხნა, შაქროს ჭიდილი, სიმღერა“—გაიგონებდით ყველასაგან სოფლად. ამ ჯან-ღონის და მოხერხების პატრონი მენაბდიშვილიც ამაყობდა, თავ-მომწონედ იქცეოდა, არავის არ ეჩაგვრინებოდა და, თუ შემთხვევა მიეცემოდა, სხვა ტოლ-ამხანაგ ბიჭებსაც არ აჩაგვრინებდა.

ყველას უყვარდა შაქრო, არ უყვარდა მხოლოდ ელიზბარ ტრაბახაძეს. მათ ხშირად მოსდიოდათ კინკლაობა და აურ-ზაური, რადგან შაქრო სხვა ტოლ-ბიჭებივით ტრაბახაძეს ქედს არ უხრიდა. ან-კი რა ჰქონდა ქედ მოსახრელი?!

რაც დრო მიდიოდა, სიძულვილი უფრო და უფრო ძლიერდებოდა ორ ახალგაზრდათა შორის. მიზეზი-კი აი რა იყო: ტრაბახაძე კარგახანია შესტრფიალებდა მელა ყარაულაშვილის ქალს. ძალიან მოსწონდა ლაზათიანი გოგო და უქმე დღეებში ყოველს ღონისძიებას ჰხმარობდა მოსწონებოდა მელას. თვალს არ აშორებდა ხოლმე ტრაბახაძე ხალხის შეკრებილობის დროს ყარაულაშვილის ქალს. უყვარდა ეს ქალი შაქროსაც! მხოლოდ მათ სიყვარულს შორის დიდი განსხვავება იყო. მენაბდიშვილს მთელის არსებით უყვარდა მელა! ხშირად ძილი გაჰკრთობია, როცა ნამუშევარი დაღლილ-დაქანცული მიწოლილა სადმე ტყეში მუხის ძირას, ან გუთანზედ სოფლის ბოლოს, წყაროსთან. რული არ მიჰკარებია შაქროს თვალებს! ხშირად მწარედ უკვნესებია მელას მოგონება-წარმოდგენას, მით უფრო რომ ქალის გულში, მის სახის გამომეტყველებაში, ჯერ საიმედოს ვერას ჰხედავდა.

ყარაულაშვილის ქალს თუმცა მოსწონდა მენაბდიშვილი, უყვარდა მისი მამაცური გამოსვლა ჭიდაობაში, სიმღერა ტოლ-ამხანაგებში, გარჯილობა ოჯახში, მაგრამ ტრაბახაძეს უპირატესობას აძლევდა, რადგან არც ტრაბახაძე იყო მაინცა და მაინც უსახური და მოხდენილობას მოკლებული ყმაწვილი კაცი და მასთან უკეთა სცხოვრობდა. დედმამის ჩაგონებით ყარაულაშვილის ოჯახს ტრაბახაძე უფრო შეჰფეროდა, მელაც ხშირად ტრაბახაძისაკენ იყურებოდა. მენაბდიშვილი შორიდგან უყურებდა მელას, გული ეთუთქებოდა, რაკი ჰხედავდა რომ ამ ბოლოს დროს მელა აღარ აქცევდა ყურადღებას, ჟუჟუნა თვალებს აღარ მიანათებდა ხოლმე. მიზეზი ქალის ისეთის ცვლილებისა შაქრომ არ იცოდა, როცა გუნდა გაისროლა მენაბდიშვილმა, ის-კი არა ჰქონდა გულში, რომ ამით შეურაცხყოფა მიეყენებინა მელასთვის. არა!.. უწინ სიკვდილს ირჩევდა შაქრო! მხოლოდ მენაბდიშვილს სურდა ამით მელა თავისკენ მიეხედებინა, თავი დაენახვებინა.

საქმე-კი სულ სხვანაირად დატრიალდა. როცა გუნდა მოჰხვდა ტოტს, ტრაბახაძემ თვალი შეასწრო გამსროლელს. ჩუმად მენაბდიშვილისაკენ გადავიდა, მიუახლოვდა. სიბრაზისაგან ტრაბახაძე ხანჯლის ტარზედ ივლებდა ხელს.

— გახსოვდეს!—უთხრა ამაყად მენაბდიშვილს ტრაბახაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი

გაზ. „Одес. Нов.“-ს ატყობინებენ ქ. ელისავეტგრადიდან, რომ ამას წინად ადგილობრივ სასამართლოში გაურჩევიათ საქმე 14 სექტანტის შესახებ.

ბრალდებულნი 19 ოქტომბერს, 1902 წელს შეკრებილან სალოცავად. კითხულობდნენ სახარებას და გალობდნენ. მათ თავს დაესხა პოლიცია, წაართვა წიგნები, შეადგინა ოქმი და სასამართლოში მისცა ყველა დამსწრენი. სასამართლოში მოწვეული ექსპერტი, მღვდელი კუპრევსკი, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ბრალდებულნი შტუნდისტთა სექტას ეკუთვნიან და უნდა დასჯილიქმნენ რუსეთის კანონის ძალით. მათგან წართმეული წიგნები იმ გვარისა არიან, რომელთაც შტუნდისტები ხმარობენ ხოლმე, მაგალითად: „სასულიერო ლექსთა კრებული“, რომელშიაც რუსეთის ცნობილ მწერლების ლექსებია მოთავსებული: იაზიკოვის, გლინკას, ხომიაკოვის, მაიკოვის, ტურგენევის და დერჟავინის.

სასამართლომ ყველა ბრალდებული დაჯარიმება გადაუწყვიტა.

— ქ. ნიკოლაევიდან ატყობინებენ გაზ. „Од. Л.“-ს: ადგილობრივ ოლქის სასამართლოში ერთი არა ჩვეულებრივი შემთხვევა მოხდა. სისხლის სამართლის განყოფილებაში არჩევდნენ ვიღაც ივო მიკიზის საქმეს, რომელიც მეორედ იყო მიცემული სამართალში მოხელეს შეურაცხყოფისათვის თანამდებობის ასრულების დროს. მიკიზმ, სატუსაღოში რომ იყო დამწყვდეული, სცემა სატუსაღოს უფროსის თანაშემწეს ვოროჟეიკინს. სასამართლომ ამ დანაშაულისათვის მას 1 წლით დაპატიმრება გადაუწყვიტა. დამნაშავეს იცავდა ნაფიცი ვექილი მაურერი. სასამართლოს განჩინება რომ მოისმინა, დამნაშავემ უეცრად დაუწყო დანძღვა მსაჯულთ უწმაწური სიტყვებით, შემდეგ გაბრაზებულმა ხელი წაავლო სკამს და ესროლა მსაჯულებს. სკამი სარკეს მოხვდა და დაამსხვრია იგი. ყველა დამსწრენი; მსაჯულნი, მოწმენი და მაყურებელნი, თავ-ზარ დაცემულნი ისხდნენ თავთავიანთ ადგას. დარაჯები მისცვივდნენ დამნაშავეს, ორჯელ შემოჰკრეს ხმალი და გააკავეს. სასამართლოს თავმჯდომარემ მიმართა მდივანს და უბრძანა ოქმი შეედგინა ამ შემთხვევის შესახებ. მიკიზი ისევ სატუსაღოში წაიყვანეს.

— რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან მრავალი მუშა ხალხი გაემართა ამ გაზაფხულზე სამხრეთისაკენ სოფლებში სამუშაოს საშოვრად. ისე გაჭირვებულია ეს ხალხი, რომ ქვეითად მიდის, შეძლება არა აქვს რკინის გზაზე მეოთხე კლასის ბილეთის ფასი გადაიხადოს. ღამეს მინდორში ათევს. ძლიერ გავრცელებულია მუშათა შორის სხვა-და-სხვა ავადმყოფობა. საწყლები ვერ მოულობენ სამუშაოს და ერობათაგან გამართულ თავშესაფართ უნდა მიმართონ, რომ შიმშილით არ ამოწყდენ.

— გაზ. „Дал. Вост.“-ში ერთი საყურადღებო ამბავია მოთხრობილი, რომლიდანაც ნათლად სჩანს, თუ როგორ ეპყრობიან ჩინელებს ქ. ვლადივოსტოკში. პოლიციელს მიუყვანია ამას წინად თავისს უფროსთან ერთი დაჭერილი ჩინელი. „რად დაიჭირეო“?—ჰკითხა უფროსმა. „შემის ქურდი გახლავთ, ბატონო“,—უპასუხა პოლიციელმა. „რა საბუთები გაქვს, რომ ქურდობას სწამებ“? პოლიციელი ყოყმანობს და შემდეგ ამბობს: „რა მოგახსენოთ, ბატონო, ვფიქრობ, რომ ნამდვილად ეს უნდა იყოს ქურდი“. „როგორ თუ ფიქრობ“? „რა ვქნა, ბატონო, იმდენია აქ ჩინელები, რომ ვერ გაარჩევ, რომელია მათში ქურდი, რომელია ბრალიანი და რომელი უბრალო. ჩვენ ეს გამოვარჩიეთ. სახეზედ ეტყობა, რომ ქურდი უნდა იყოს“.

უცხოეთი

ავსტრია-უნგრეთი. ხორვატიაში გამოიცა მანიფესტი, რომელზედაც 33 ხორვატიის დეპუტატი აწერს ხელს. მანიფესტში მოყვანილია ხორვატიის ხალხის შევიწროება ავსტრიის მთავრობისაგან. „რაც უნდა სხვა-და-სხვა ხმები ვრცელდებოდეს კროატიაში მომხდარ ამბების შესახებ—ვკითხულობთ მანიფესტში,—ის-კი აშკარაა, რომ ხალხი დიდ უკმაყოფილებას აცხადებს მთავრობის წინააღმდეგ, რასაც ამტკიცებს ხშირ-ხშირი მანიფესტაციები და ამბოხებანი. წარმოიდგინეთ, ჯარიც-კი მოიშველიეს ავსტრია-უნგრეთიდან, როცა ადგილობრივმა სამხედრო და პოლიციურმა ძალამ ვერაფერი გააწყო.

წარმოიდგინეთ ოფიციალურ გაზეთებშიაც-კი აცხადებენ, რომ ზოგიერთს ადგილებში დასჭრეს ტელეგრაფის მავთულები და ბოძები, დაანგრიეს რკინის გზის ლიანდაგი, ჟანდარმერიას იარაღი აჰყარეს, დაიჭირეს ადგილობრივ მთავრობის კაცები, დაამსხვრიეს სახაზინო დაწესებულებანი და სხ. ოფიციალურად გამოცხადებულია აგრეთვე, რომ საქმე სისხლის ღვრამდე მივიდა და მთელი ორი ქალაქი სამხედრო მდგომარეობაშიაო. ხალხის ამგვარი აღელვება აბუჩად ასაგდები არ უნდა იყოს, მას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ასეთ სამძიმო საქმეს, როგორც ხორვატიის ხალხის მოძრაობა, უსათუოდ სერიოზული მიზეზი უდევს სარჩულად.

ხელოვნურს აგიტაციას არ შეეძლო შეექმნა ასეთი ძლიერი მოძრაობა, „მეტადრე სოფლის მცხოვრებთა შორის, რომლებიც მეტის-მეტი კონსერვატორები არიან“... შემდეგ მანიფესტი ეხება უნგრეთის ლიბერალიზმს, თუ როგორ ეპყრობა ეს კრაატიის მართვა-გამგეობას.

საარჩევნო უფლებით მცხოვრების მარტო სამი პროცენტი თუ სარგებლობს.

ეს სამი პროცენტიც ჩინოვნიკობაა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ მოქალაქებრივ გაბედულობას ეწინააღმდეგოს და შეებრძოლოს მთავრობასა და მისს კანდიდატებს. ხშირად ძალადობას და უკანონობასაც კი მიმართავენ ხოლმე რომელიმე მთავრობის კაცის გასათეთრებლად; პრესა, მეტად შევიწროებულია; განსაკუთრებით ოპოზიციონურს ჟურნალ-გაზეთობას ყოველდღე აჯარიმებენ, კონფისკაციას ახდენენ, რედაქტორებს აპატიმრებენ. ხალხის ეკონომიური მდგომარეობა საიმედოს არას წარმოადგენს, ემიგრაცია თანდათან ძლიერდება, მთელი ხორვატიის ხალხის მეათედი ნაწილი ოკეანებს გასცილდა, გადასახადები აუტანელი შეიქნა, რაიც მარტო უნგრეთის ინტერესებს ხმარდება. მთელი შემოსავალის 56 პროცენტი უნგრეთს მიაქვს. დანარჩენი 44 პროცენტი ვერ აკმაყოფილებს ხალხისა და ქვეყნის მოთხოვნილებებს. პოლიტიკურად ხომ სულ შევიწროებულია ხარვატია. იმ უფლებებსაც ართმევენ, რაც კანონიერად ბოძებული აქვთ.

2,000-მდე კაცია სულ ტყუილა უბრალოდ დაპატიმრებული, მხოლოდ მარტო იმისთვის, რომ ისინი თავიანთ სარჩო-საბადებელს იცავდენ. ყველა ამის შემდეგ უნგრეთის მთავრობა გამოდგება და საქვეყნოდ გამოაცხადებს: სახელმწიფოში „ყველაფერი წესიერად არისო“. ხალხის აღელვებას, ხალხის მოძრაობას, თოფის სროლას, სისხლის ღვრას, დაპატიმრებას, ხოცვა-ჟლეტას, ძალ-მომრეობას და უკანონობას,—ყველაფერს ამას მთავრობა „წესიერებას“ უწოდებს. ამის შემდეგ რაღაა უწესო, ვერც-კი წარმოგვიდგენია.

— ქ. ლვოვში 19 მაისს იყო დანიშნული კონგრესი. სადაც 700-მდე ავსტრიელი და პოლონელი დაესწრო. თავად-აზნაურობამ და სოციალ-დემოკრატებმა უარი შეუთვალეს კონგრესზე დასწრებისა. კრებამ სხვათა შორის გადასწყვიტა დაარსოს 1) პოლონეთის ორგანიზაცია, რომელიც შესძლებს ყველა პოლონეთის დასების და ჯგუფების ერთად შეერთებას; 2) ისეთი ბიურო კორესპონდენტისათვის, სადაც შეიძლებოდეს ყოველ გვარი ცნობების შეკრება, რაიც-კი ავსტრია-პოლონეთის საქმეებს შეეხება; 3) მხარი დაუჭიროს და დაეხმაროს პოლონეთის მოძრაობას აღმოსავლეთ გალიციისა, სილეზიასა და ბუფინაში; 4) გადასახლების საქმის მოწესრიგება; 5) გალიციის საოლქო სკოლათა საბჭოს რეორგანიზაცია; 6) საშუალო სასწავლებლებში რეფორმის შემოღება; 7) პოლონური ენის შემოღება რკინის გზის, ფოსტა-ტელეგრაფის, სასამართლოსა და საფინანსო სამმართველოებში.

სერბია. ერთს ინგლისურ გაზეთში ვკითხულობთ: „მეფე—დედოფალი დრამა კაი ხანია ამჩნევდა, რომ სწადდათ მისი მოწამვლა. 7 მაისს მოსამსახურემ დედოფალს საჭმელი მიართვა. დედოფალმა გასინჯა საჭმელი და ეჭვი აიღო, მოწამლული უნდა იყოსო. რომ დარწმუნებულიყო თუ რამდენად მართალი იყო მისი ეჭვიანობა, აიღო საჭმელი და ჯერ ძაღლს აჭამა. რამდენიმე წამის შემდეგ ძაღლს მოწამვლის ნიშნები გამოაჩნდა და ბოლოს კიდეც მოკვდა. დედოფალმა მაშინვე ბრძანება გასცა გამოიძიეთ რაშია საქმეო. შევიდნენ სამზარეულოში, სადაც დაუხვდათ მკვდარი ფრანგი მზარეული. ამბობენ მზარეულმა, როცა შეიტყო, რომ ყველაფერი გამომჟღავნდებაო, თავი მოიკლა“ დღევანდელი დეპეშა ბელგრადიდან აშკარად ამტკიცებს, იმას, რომ დედოფლის და მეფის სახლობის სიკვდილი მართლაც რომ კაი ხანია ჰქონიათ გულში.

ნარკვევი

გაზ. „Нов. Вр.„-ში მოთავსებულია ვ. ტიმორევის წერილი შემდეგი სათაურით—“საშინელი ბარბაროსობა“.

ბევრმა არ იცის, ამბობს ბ-ნი ტიმორევი, რომ ტყავს მეტი ფასი აქვს, თუ ცოცხალ ცხოველს გააძვრეთ იგი. ამიტომ ბევრგან რუსეთში საშინლად აწვალებენ ცხოველებს ამ „ძვირფასი“ ტყავის საშოვრად. ქ. კონოტოპში, მაგალითად, შემდეგი ინკვიზიცია მოუგონებიათ ძაღლებისათვის: რკინის გალიაში ამწყვდევენ, რომელსაც ვიწრო გასავალი აქვს, სადაც ტყავის გასაძრობად რკინის ფრჩხილებიანი მანქანაა მოთავსებული. ძაღლებს აწვალებენ ამ გალიაში. გამწარებული ძაღლი გარედ რომ გამოვარდება, ამ მანქანას ვერ ასცილდება, იგი ცოცხალს აძრობს მას ტყავს.

ცხენებისათვის-კი შემდეგი ინკვიზიცია მოუგონიათ. ცოცხალ ცხენს გაუჭრიან ხოლმე ტყავს ერთ რომელიმე ადგილას. აძრობენ ცოტაოდნად და ერთ მანქანას აბმენ, რომელსაც მეორე ცხენი აბრუნებს და ეს მანქანა მთლად აძრობს ტყავს საბრალო ცხოველს.

საერთა შორისო საფოსტო ბიურომ ბერნაში გამოაქვეყნა თავის ყოველ წლიური სტატისტიკური ცნობები. ყველაზე მეტი ფოსტის კანტორა შეერთებულ შტატებში ყოფილა, სახელდობრ—78,000; გერმანიაში—45,400; დიდ ბრიტანიაში—22,40; საფრანგეთში—11,000, იტალიაში—8,000, ავსტრიაში—7,600, შვეიცარიაში—3,700, რუსეთში—6,200, იაპონიაში—4,500, შვეცია და ნორვეგიაში—3,300, ფოსტის ყუთი; გერმანიაში—123,000, ამერიკაში—118,000, საფრანგეთში—67.000, დიდ ბრიტანიაში—57,000. რუსეთში ყველაზე ნაკლები—20,000. შვეიცარიაში—10000.

გერმანიის ფოსტა ტელაგრაფის კანტორაში 233,176 მოსამსახურეა: ამერიკაში—226,823, დიდ ბრიტინიაში—179,000, საფრანგეთში—77,000. მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით, რუსეთი ყველაზე უფრო დაბლა დგას ფოსტ-ტელეგრაფის საქმეში.

ნარევი და ნაკვესი

სიკვდილი ჩაგონებით. ჩაგონებას დიდი მნიშვნელობა აქვს· დიდი ხანია ნაცადია, რომ ექიმს ჩაგონებით ავადმყოფის განკურნა შეუძლიან, ხშირად ზოგიერთ ექიმს უბრალო წყალი შეუდებნია, ავადმყოფი-კი დაუჯერებია ჩაგონებით უებარი წამალიაო და ამით მოურჩენია.

ჩაგონება მოქმედობს კაცის სხეულზედ და ნერვებზედ. ჩაგონებით შეიძლება კაცის სიცოცხლის მოსპობა. ბევრი ამას არ დაიჯერებს, მაგრამ ამის დასამტკიცებელი საბუთები ბევრია. პოლკოვნიკი დე-როშა, რომელიც პარიჟში ცნობილია ჩაგონების გამოკვლევით, აი რას მოგვითხრობს: ერთხელ ჩემს ლაბარატორიაში ერთი ჩემი ნაცნობი შემოვიდა. მე განვიზრახე იმაზე ჩაგონების გამოცდა, ეს ჩაგონება კინაღამ უბედურებით გათავდა. ჩემს ნაცნობს მივმართე და რიხიანის ხმით უთხარი: წყლის ონკანი მოხსნილია და იატაკზე წყალი ჩამოდის მეთქი; შემდეგ ხმის კანკალით განუმეორე, ონკანი ვერ დავკეტე და წყალი მუხლებამდის შემოგვადგა, ეხლა წელამდის, ყელამდის—ვიხრჩობით! იმას მართლა მოელანდა, სახე დაეღრიჯა, გაუვითლდა, მკვდრის ფერი დაედო, შემდეგ ხელების და ფეხების ფართხალი დაიწყო, სუნთქვამ უსუსტა; ვინ იცის, რით არ გათავდებოდა ეს ამბავი, რომ ბრძანების კილოთი არ მეთქვა, „თქვენ გძინავთ, გაიღვიძეთ!“

გადმოვცემს რა ამ ამბავს, დე—როშერი ამბობს. ასეთი ცდა საშიშია, რადგან შესაძლოა სიკვდილი მოჰყვეს კაცისაო.

ჩაგონებას რომ სიკვდილის გამოწვევა შეუძლიან, ამას გვიმტკიცებს შემდეგი ორი ამბავი: ერთი მოჰხდა ინგლისში. აქ სიკვდილით დასასჯელი დამნაშავე ექიმებს გადასცეს, რომ იმაზედ პსიხოლოგიური გამოკვლევანი მოეხდინათ. ექიმებმა დამნაშავე მიაბეს მაგიდაზედ. თვალები აუხვიეს და უთხრეს: კისერს გადგისერავთ, სისხლისგან დაიცლები და მოჰკვდებიო. შემდეგ ნემსით კისერი გაუჩხვლიტეს და სადაც ნემსის ნაჩხვლეთი იყო, იქ წყლის სხმა დაუწყეს, იმ გვარად, რომ კისერზედ ჩამოდიოდა წყალი და ია-

---

— შენ ვის დაჰკარგვიხარ?!—შეუტია მენაბდიშვილმა.

— აჰაა!..

— ხვლიკის ჯოგები არ დამიფთხო—უფრო გულ-ამაყად უპასუხა შაქრომ ტრაბახაძეს და გაშორდნენ ერთმანეთს. ეს ისე იდუმალ მოჰხდა, რომ არც-კი არავის გაუგია.

გათავდა ღვთის ვედრება. ხალხი ცარიელის ჭურჭლებით ეცა ანკარა და განათლულ წყალს; ზოგი სვამდა, ზოგი პირზედ ისხამდა, კარგია, ნათელი დაგვადგებაო! შემდეგ აყაყანდნენ და ბოლოს გაიშალ-გამოიშალნენ ეკკლესიის დიდ ეზოში. ტოლი ტოლს ულოცავდა, ამხანაგი ამხანაგს ბედნიერს დღეს. გაჩაღდა ჯირითი, თოფის სროლა და სხვა ამ გვარი თავ შესაქცევარი. მოაწია სადილობამ. სტუმარ-მასპინძელნი დაირჩნენ და სახლებში წავიდ-წამოვიდნენ საქეიფოდ.

— თქვენ ჩემი სტუმრები ხართ, უთხრა ტრაბახაძეს ტოლმა ბიჭმა არჩილ გიუნაშვილმა და მოჰხვია ხელი ოთხიოდე ახალგაზდას, მათ შორის ერთ თავადიშვილსაც. შევიდნენ იქვე ახლო სახლში და გამართეს ნადიმი. გიუნაშვილი, თუმცა მარტო ხელი ბიჭი იყო, მაგრამ უხვად უმასპინძლდებოდა თავის ძვირფას სტუმრებს; ღვინოც ჩინებული ჰქონდა. ტრაბახაძე ხარბად სვამდა და იქნევდა თავს. ხანჯალს ხან ამოაგებდა, ხან ჩააგებდა.

— შენი ჭირიმე, ხანჯალო, იტყოდა ხოლმე ხშირად და გიჟივით გადიხარხარებდა.

— სიმღერა, ძმებო, სიმღერა,—შეჰყვირა ტრაბახაძემ,—ნახშირს ხომ არა სწვავთ? სუფრას სიჩუმე არ შეშვენის. ჩვენს ძმას არჩილს მოუღხინეთ... „არ წავალ დაუთრობელი, გინდაც იყვირლოს მამალმა“, დასძახა ტრაბახაძემ, სხვებმა ბანი მისცეს, სიმღერა გააჩაღეს, გიუნაშვილის სახლ წინ ბიჭებიც შეგროვდნენ და, გარედგან ყურს უგდებდნენ მოქეიფეთ.

— იცით რა გითხრათ?—შეეკითხა თ. ნოშრევან უქმაძე, რომელიც გიუნაშვილთანვე იყო სადილად და თამადობას ეწეოდა—თუ სმა იყოს, იყოს, უსმელ სიმღერას ეშხი არა აქვს.

ხომ იცით: ყმა უმღერალი არ ვარგა, ჭაბუკი—დაუთრობელი, ჩვენც “ძმურად“ დავლიოთ. მაინც გარედ ცივა: ასლი სმის დროა; ეს კარგი გაჩაღებული ბუხარი, კარგი პური, კარგი ღვინო და კეთილი გული ჩვენის ძმისა, ჩვენც მოვულხინოთ. ალავერდი ტრაბახაძე! რა ჩიჩვირი ჩამოგიშვია, შე ყურუმსაღო! სოფლის ხარჯს ხომ შენ არა გთხოვენ, თითო ჯამიც დავლიოთ და...

— იახშიოლ, იახშიოლ!—ხარხარით გააწყვეტინა სიტყვა ტრაბახაძემ და სავსე ჯამი ჩამოართვა უქმაძეს.

— ასე აივსე ჯან-ღონით, როგორც ეს ჯამია სავსე, დაუმატა ნოშრევანმა.

— “ფულით“ მაინც გეთქვა, შე ოჯახაშენებულო, თორემ ჯანი „ოხრად“ არის,—უმარილოდ იოხუნჯა ტრაბახაძემ და ულვაშები გაისწორა-

— დღე დააკლდეს, ვინც ჯამს ღვინო დააკლოს და არ აავსოს, ირისხებოდა ღვინის მოტრფიალე უქმაძე. „ღვინოში ღალატი ძნელია“!

— ე-ე-ე! რა კარგი იყო დღეს ყარაულაანთ მელა!—გაერია ლაპარაკში ასე ოცისა—ოცდა ერთის წლის ახალგაზდა მიკიტანი, შენი ღმერთის ჭირიმე, შენი! ისე იყო წამოწითლებული, როგორც მაისის ყაყაჩო. იმასთან ყოფნა სიმოთხეში ყოფნაა რაღა; იმისი ერთი კოცნა მილიონი ღირს მე და ჩემმა სიყმემ.

— პირი გამოირეცხე მელას ხსენებაზედ,--გააწყვეტინა სიტყვა ტრაბახაძემ.

— შენ კიდევ, მენაბდიშვილისა არ იყოს, რა ყველას ყანყარანტოში ეცემი ხოლმე, შვილოსა, ჯერ ხომ დაბელგილი არა გყავს.

— მართლა, მენაბდიშვილი! ისიც რომ მარაქაში ერევა? მელა იმასაც სდომებია,—სთქვა უქმაძემ.

— ოხერი!—დაუმატა ერთ მოქეიფეთაგანმა.

— ტეტია! წილიანი გლეხის ბიჭი, ზიზღით ბანი მისცა ულვაშებ გაბზეკილმა და თავაღებულმა დერციკმა ბიჭმა, რომელსაც თავი მოქეიფე და დარდიმანდ ბიჭად მოჰქონდა. სად მუკუზანი, სად ღმერთი?

—ღმერთი იყოს შემწე ამ ოჯახისა და ყველა წმინდა!—მოუჭრა სიტყვა თამადამ ქარაფშუტა დერციკს.

— რას ებუტებით?—შეეკითხა მასპინძელი.

— გავიარ-გამოვიაროთ,—უპასუხა ტრაბახაძემ, მელასა და მენაბდიშვილის ხსენებაზედ გულ ამღვრეულმა. მოქეიფეთ ხელი ხელს გადახვიეს და ისე გამოვიდნენ ქუჩაში.

„ეს ბიჭი კარგად თამაშობს,
ფეხის თითებზედ დგებაო“...

გაისმა ქუჩის მეორე მხარეს სიმღერა და გლეხის ბიჭები გამოჩნდნენ.

„ამან რო ფეხი იტკინოს,
მე-კი არ დამბრალდებაო“...

ტაშის დაკვრით ბანს აძლევდნენ სხვები და ერთმანეთს ათამაშებდნენ. „შაქროც ათამაშეთ, შაქროც, გაისმა მოქეიფეთა შორის. შაქრომაც ჩამუარა ტაშის და სიმღერის ხმაზედ·

— განი, განი,—მოისმა ტრაბახაძის ხმა და მისის ამქრისა,—გზა, ეი!—შეუტიეს ერთ დამთვრალ ახალგაზდა გლეხს, რომელიც ძლივს მიჩანჩალებდა და ქუჩის ხან აქეთ მხარეს ეცემოდა, ხან იქით; მოქეიფეთ მუჯლუგუნი წაჰკრეს, გლეხი ეკლის ღობეს მიასკდა, ცხვირპირი ჩამოიფხაჭნა, გამწარებული გაილანძღა.

— ვისა ლანძღავ?—შეუტია კუდა-ბზიკა მკერვალმა და სილა გაუტყლაშუნა. ამის მაგალითს სხვებიც მიჰყვნენ, ჩაჩიკა გლეხი ხან ერთ ღობეს ეცემოდა, ხან მეორეს, მოქეიფეთა უწყალო მუჯლუგუნით დალურჯებული. გალახულმა საშველად დაიძახა.

მოფერხულე ბიჭებმა თავი გაანებეს თამაშობას და მოჩხუბრებისაკენ წავიდნენ.

— ჩხუბი სირცხვილია, მტადრე ბედნიერ დღეს,—არიგებდა მენაბდიშვილი მოკრივეთ.

— შენ ვიღას ოხერი ხარ?—შეუტია თ. უქმაძემ მენაბდიშვილს.

— არა, კნიაზო, ნუ გეწყინებათ: ცოდოა საწყალი ბიჭი, ისეთს კაცს უნდა ეჩხუბო, რომელმაც პასუხიც გაგცეს, თორემ აბრიას რაღა ცემა უნდა: ღმერთსაც ეგ დაუჩაგრია და თქვენი დაჩაგვრა-ღა უნდა?

უქმაძეს ცოტა არ იყოს, შერცხვა და გაჩუმდა.

— შენი თავი რაღა გგონია?—გულ ამაყად შეეკითხა გაბღენძილი მკერვალი,—ისე გამოდიხარ, თითქო მკლავ მოუხრელი არსენა იყოსო.

— შენ, ძმობილო, ქადილი და გაბღინძვა შინაც გეყოფა.

— შინ, თორემ აქ კი ხახვი არ დამაჭრა ყურებზედ“!

— მენაბდიშვილო! წერას ნუ აუტანიხარ, შეჰყვირა ხმის კანკალით ტრაბახაძემ შაქროს.

— თხა თხაზედ ნაკლები მგელმა გახეთქოს,—მიუგო მენაბდიშვილმა.—მე ჩხუბს ვერიდები, შვილოსა, თორე მუქარისა-კი არ მეშინია.

— ჰიანჭველას რომ ფრთები გამოებმის ღმერთი მაშინ გაუწყრება,—უთხრა ტრაბახაძემ და ხანჯლის ტარზე ხელი დაიდო.

— ეს ბურთი და ეს მოედანი!..

მკერვალმა მენაბდიშვილს ხელი წაატანა. ეგონა, ამასაც ხელად გავლახავ და ყირამალა ვატარებო, მაგრამ მოსტყუვდა ანგარიშში. მენაბდიშვილმა ხელის მოკიდება არც-კი აცალა, გათამამებულ და ღვინით გაბრუებულ დერციკს; ისეთი ღონიერი სარმა გამოჰკრა, რომ ბურთივით ძირს დასცა ფაფხურა მკერვალი. ფალავნის ასე მოწყვეტით ქუჩაზედ გაშხლართამ ბევრნი გააცინა.

— შენ მეტი არც-კი შეგხვდება,—იძახოდენ ზოგნი.

მაგ ადგილს რომ ზომავ, ვინ მოგცემს, ძმობილო, სასაფლაოა,—დასცინოდნენ მეორენი.

დერციკს ნამასპინძლარი მიეშველა, მაგრამ ისიც, როგორც ყიფი-მურყანი ისე გადიფხვა მენაბდიშვილის მოგვერდის წყალობით.

ტრაბახაძეს სული ყელში ებჯინებოდა, ბრაზისაგან თვალები უსისხლიანდებოდა... გაბრაზებული ეცა მენაბდიშვილს. ამ სამივე ახალგაზრდათა იერიში ისეთი სწრაფი იყო, რომ მენაბდიშვილი თვალის ახელას ძლივს ასწრობდა, როდესაც ერთ-ერთი წაქცეულთაგანი წამოდგებოდა და ხელად ეცემოდა გაშმაგებული და სირცხვილ ნანახი. ტრაბახაძეს უნდოდა რაიმე ხრიკით მენაბდიშვილი ძირს დაეცა.

— „გაშველდით, გაშველდით!—გაისმა ბიჭებში ხმაურობა:—სირცხვილია, რა გაქვთ გასაყოფი.

— ტრაბახაძე, დამეხსენ, შვილოსა,—უთხრა ახლა-კი გაჯავრებულის კილოთი შაქრომ, ხედავდა-რა, რომ სამნი-ოთხნი ერთს კაცზედ მიდიოდნენ, მისი გალახვა უნდოდათ.—მე შენ არას გიშავებ და რა ეშმაკის ცხენზედ შემჯდარხარ?

—„შეშინდი, წუწკიშვილო?! გამაგრდი, თუ ბიჭი ხარ! ამ სიტყვებით ტრაბახაძემ შეუტია მენაბდიშვილს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაანჯღრია მენაბდიშვილი. უნდოდა მხართეძოზე წამოეგდო, წაექცია.

ხუმრობა აღარ იყო. მენაბდიშვილი ქურციკივით გაუხტა განზედ მისულს ტრაბახაძეს, წამოიკიდა კისრულზედ და როგორც დახელოვნებულმა მებადურმა ბადე გაშალოს, ისე გაშხლართა ყინულებზედ თავმომწონე ფალავანი.

მენაბდიშვილს კვლავ ეცა გადარეული მკერვალი.

— „კაცებო! გიჟები ხომ არა ხართ? გეყოფათ მაგდენი თავის აგდება. რას ემართლებით ე საწყალ ბიჭს? გაშველდით, მოშორდით“, ყვიროდნენ მაყურებელნი.

— მაგას მე ვიცი რაც მოაშორებს,—დაიღრიალა გამხეცებულმა ტრაბახაძემ და იელვა მახვილმა...

როგორც დაკოდილი ლომი, ისე შეხტა მენაბდიშვილი, ეცა იქით მხარეს, საითაც ტრაბახაძე გარბოდა, მაგრამ ღონემ უღალატა... ჭრილობა მეტად დიდი იყო, სისხლის მორევში მოსვრილმა თავ-მომწონე ვაჟკაცმა ზედ შუა გზაზე ჩაიკეცა.

— ხანჯალსაც სისხლი გამოჰყვა...—გაისმა შორს ხარხარი ტრაბახაძისა.

— კაცი მოჰკლეს, კაცი!—ყვიროდნენ უცაბედის შემთხვევით გაკვირვებულნი მხილველნი. „წყალი მოგვაშველეთ, წყალი! წიოდნენ დედა-კაცები და ეხვეოდნენ მენაბდიშვილს. „გაიგმიროს შენი გამგმირავი“, დაასრულეს სიტყვა ბებრებმა.

მწარე ჯავახი.

თავზედ დადგმულ ტასტში ოდნავ ჩხრიალით ესმებოდა. ექვსის წუთის შემდეგ დამნაშავე, დარწმუნებული რომ სისხლისაგან დაიცალეო, გარდაიცვალა.

მეორე შემთხვევას ჩაგონებით სიკვდილისას დე-როში მოგვითხრობს: პარიჟის ლიცეის ერთმა მოსამსახურემ სტუდენტების უკმაყოფილება დაიმსახურა თავის ქცევით; სტუდენტებმა განიზრახეს შურის ძიება. ერთხელ სტუდენტებმა მოსამსახურეს სტაცეს ხელი და ბნელ ოთახში შეათრიეს; ჩამოუთვალეს მისი დანაშაულებანი და უთხრეს; თავი უნდა გაგაგდებინოთო, სიცოცხლე სამი წამი დაგრჩენიაო. სამის წამის შემდეგ დააჩოქეს თვალები დაუხუჭეს; შემდეგ ერთმა სტუდენტმა სველი ტილო დაარტყა, რომლის შემდეგაც ხარხარით უთხრეს: გეყოფა წვალება, ადექიო, მაგრამ განუსაზღვრელი იყო სტუდენტების განცვიფრება, როდესაც ნახეს, რომ მოსამსახურეს უკვე სული განეტევებინა.

სიკვდილი შეიძლება გამოიწვიოს კაცმა თავისთავად—ჩაგონებით. აი, რას გადმოგვცემს ლონდონის ერთი ცნობილი საექიმო ჟურნალი „ლანცერი": ერთმა ახალგაზრდა ქალმა თავისს მოკვლა განიზრახა. მწერებისაგან გაკეთებული დაფხვნილი გადაჰყლაპა, ლოგინში ჩაწვა და რამდენისამე დღის შემდეგ-კი გარდაიცვალაო.

როდესაც გასჭრეს და ფხვნილი ქიმიკურად გამოიკვლიეს, აღმოჩნდა, რომ ამ ფხვნილს კაცის ჯანმრთელობისათვის არავითარი ვნების მოტანა არ შეეძლო; ექიმებმა ერთხმად დაამტკიცეს, რომ ეს ჯანმრთელი ქალი გარდაცვლილა იმიტომ, რომ დარწმუნებულა, საწამლავი მივიღეო.

კიდევ ბევრის მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ვიკმარებთ ერთს. საფრანგეთის პოეტი გიმონ-დე-ლატუში, 37 წლისა, 1760 წ. ერთს პრინცესას საავადმყოფოში წაჰყვა მისს დასათვალიერებლად; ერთმა ავადმყოფმა იწყინა, რომ პოეტი საავადმყოფოში ცნობის-მოყვარეობით მოვიდა და რისხიანის ხმით უთხრა: პოეტო, თქვენ სამის დღის შემდეგ მოჰკვდებითო". პოეტს გაეცინა, მაგრამ სახლში რომ მოვიდა, ცუდად იგრძნო თავი და სამის დღის შემდეგ მართლა გარდაიცვალა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

29 მაისი.

პარიჟი. მაისის 27-ს. ბელგრადიდგან კერძო დეპეშით იუწყებიან,—დღეს ღამით მხედრობამ სერბიის მეფედ გამოაცხადა პეტრე ყარაგიორგიევიჩი. ჯარმა საჩქაროდ ალყა შემოარტყა კონაკს, შეცვივდნენ სასახლეში და მოჰკლეს ალექსანდრე მეფე და დრაგა დედოფალი. ყოველივე ეს მოხდა ნაშუაღამევს პირველ საათამდე. ამბობენ,—ყველა მინისტრები დაუხოციათო.

ვენა. ბელგრადში გავრცელდა დღეს შემდეგი პროკლამაცია: „სერბიის ხალხის მიმართ. დღეს ღამით მოკლულ იქმნენ ალექსანდრე მეფე და დრაგა დედოფალი. ამ დიდმნიშვნელოვანსა და სამძიმო დროს შეერთდნენ ჩვენის სამშობლოს მეგობარნი და შეადგინეს მთავრობა. აუწყებს რა სერბიის ხალხს ამ ამბავს, მთავრობა იმედოვნებს, რომ ხალხი მხარს დაუჭერს და მიეშველება სამეფოში საყოველთაო მშვიდობიანობისა და წესიერების დასაცავად. მთავრობა ამით აცხადებს, რომ ამიერიდან ძალაში შედის 1901 წლის აპრილის 6-ს გამოცხადებული კონსტიტუცია ყველა კანონებით, რომელთაც ძალა ჰქონდა ამა წლის მარტის ოც და ხუთამდე (ძველი სტილით) მარტს 24-ს (ძვ. სტ.) გამოცემულ პროკლამაციის ძალით დათხოვნილნი ხალხის წარმომადგენელნი მოწვეულია თიბათვის 2-სათვის (ძველ. სტ.). ხელს აწერენ: ავაკუმოვიჩი, მინისტრ-პრეზიდენტი ლიუბომირ იალევიჩი, გარეშე საქმეთა მინისტრი სტოიან პროტიჩი, მინისტრები—გენჩიჩი, ატანაცკოვიჩი, ვეიკოვიჩი, მაშინი, სტიანოვიჩი და შიმკოვიჩი.—ცვლილება ჯარმა მოახდინა. რამდენათაც აქამდე შევიტყეთ, მეფე-დედოფლის გარდა მოკლულ იქმნენ,—მინისტრ-პრეზიდენტი ცინცარ-მარკოვიჩი, გენერალ ლაზარ პეტროვიჩი და გენერალი მილოვან პავლოვიჩი. ხალხი სრულიად დამშვიდებით მიეგება ამ ამბავს, ქუჩაზე თავი მოუყრია აუარებელ ხალხსა, და სიამოვნებით ეგებება და ულოცავს ახალს მინისტრებს, რომელნიც შინაგან საქმეთა სამინისტროსაკენ გაემართნენ. მეფე-დედოფლის გვამი კონაკში იმყოფება.—როგორც პროკლამაციიდგან სჩანს, ალექსანდრე მეფის მიერ უკანასკნელ სახელმწიფო ცვლილების დროს შემოღებული წესები და კანონები გაუქმებულია. კონაკში ეს ამბავი მოხდა საღამოს 11½—დილის 2 საათამდე.

კელნი. ალექსანდრე მეფისა და დრაგა დედოფლის გარდა მოკლულ იქმნენ ადიუტანტი ნაუმოვი და აგრეთვე სხვა კარის კაცნიც. სამხედრო დარაჯი, რომელიც კონაკს მიუჩინეს, შიგ არავის უშვებს.

ბერლინი. მინისტრთა თავმჯდომარე ი. ნ. დურნოვო, რომელიც ვისბადენს მიდიოდა, გზაში გარდაიცვალა წვეთით. მის გვამს რუსეთს წაასვენებენ.

ბელგრადი. დროებით მთავრობის პროკლამაცია გაკრულია ქუჩებზე. მეფე დედოფალი ტყვიით არიან განგმირულნი, მოკლულია აგრეთვე გენერალ-ადიუტანტი პეტროვიჩი და ყოფილი სამხედრო მინისტრი პავლოვიჩი.

ბერლინი. სოფიიდგან იუწყებიან, ადრიანოპოლის ოლქის მთავრობა იარაღს ურიგებს მკვიდრ ოსმალთ და ამის მიზეზად იმას აცხადებს, ვითომ ბულგართა თავდასხმისაგან უნდა დაიცვან თავიო.

ზემლინი. აღწერა სახელმწიფო ცვლილებისა. ოფიცერთა მცირე ჯგუფი რადიკალთა წინამძღოლის ლიუბა ციკოვიჩთან ერთად ღამით გაემართა კონაკისაკენ და წინადადება მისცა მეფეს,—ხელი აიღე ტახტზე ყარაგეორგიევიჩის სასარგებლოდაო. მეფე უარზე დადგა და იქვე განგმირა ტყვიით პოლკოვნიკი ნაუმოვი, რომელმაც წარუდგინა მეფობაზედ უარყოფის ქაღალდი და მოსთხოვა,—ხელი მოაწერეო. ოფიცრებმა სამხედროსა და შინაგან საქმეთა მინისტრებს გაუგზავნეს კაცი და მოჰკლეს მეფე-დედოფალი. ადიუტანტი პეტროვიჩი და მეფის ერთგულნი ოფიცრები. მათ მეთაურობდა მეექვსე ქვეითა პოლკის პოდპოლკოვნიკი მიშიჩი, რომელმაც თავის ხელით მოჰკლა მეფე, დედოფალი და მისი ნათესავები წერაქვით არიან მოკლულნი, მეფე—ტყვიით, დედოფალი იმ წამსვე გარდაიცვალა, მეფემ რამდენსამე წამს იცოცხლა. აჯანყების მიზეზი ის იყო, რომ აქ დაბრუნდა დედოფლის ძმა, კანდიდატი სერბიის ტახტისა. მინისტრები, რომელნიც სიკვდილს გადარჩნენ, დაპატიმრებულნი არიან. დაკრძალვა მოხდება კვირას დიდი ცამოჩინებით. საღამოზედ ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. ბელგრადში აუწერელი სიმხიარულეა.

30 მაისი

პეტერბურგი. 29 მაისს მარმარილოს სასახლეში მოხდა ნათლობა დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტასტინეს ძის შვილისა, გიორგი კონსტანტინის ძისა თანადასწრებით თანადასწრებით ხელმწიფე იმპერატორისა მარიამ თეოდორეს ასულისა და ხელმწიფე მემკვიდრისა.

პიატიგორსკი. წყლების დირექტორმა დაბეჭდა თავის გაზეთში წერილი 200 ექიმის მიმართ, რომელნიც უკვე წყლებზედ ჩამოვიდნენ და სთხოვს აცნობოს იმ ადგილებს საიდანაც მოსულან რომ ამ წლის განმავლობაში არა ყოფილა და არ არის წყლებზედ სახადი. ზოგიერთ გაზეთების გავრცელებული ხმა, ვითომც აქ ყოფილიყო სახადი, ბევრს უშლის წყლებზედ მოსვლას.

ბელგრადი. მიუხედავად იმისა, რომ კოკიპირული წვიმა მოდის, აუარებელ ხალხს მოუყრია თავი ქუჩაზე სასახლის წინ. ყველგან ჯარებია. ყარბაზნები მომარჯვებულია. ჯარები აღარ ატარებენ ქუდებს მეფის სახელით; მის მაგიერ ქუდეზზე გაუკეთებიათ ყვავილები, მწვანე რტოები და ფოთლები. ახალგაზრდობა ჯგუფ-ჯგუფად დაიარება ბაირაღებით და გაიძახის: „გაუმარჯოს ყარაგეორგიევიჩსაო!" თითქმის ყოველი სახლი ბელგრადისა ბაირაღებითაა მორთული, სამგლოვიაროდ-კი—არც ერთი. მეფის სასახლეზე-კი აღარ ფრიალებს დროშა.

კერძო დეპეშით იუწყებიან,—ალექსანდრე მეფეს ამ უკანასკნელ ხანებში განზრახვა ჰქონდა დედოფალს გაჰყროდაო. რამდენსამე უმაღლეს სამხედრო მოხელეს წინა ღამეს უნდოდათ ძალით გაეტაცნათ დედოფალი კონაკიდგან, მაგრამ მისმა მომხრეებმა გაუწიეს წინააღმდეგობა. მეფე-დედოფალი მოკლულ იქნენ ცხარე შეტაკების დროს.

ველლინგტონი. (ახალი ზელანდია) პირველმა მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ის აზრი გაატარა,—თუ დიდი ბრიტანია უგულებელ ჰყოფს ახალშენის სურვილსა, მას შეუძლიან საურთიერთო ხელშეკრულობა დაუდოს უცხო სახელმწიფოებსა, და ამ შემთხვევაში დიდი ბრიტანია გახდება პასუხის მგებელი ბრიტანიის იმპერიის უცილებელ დარღვევისაო.

სოფია. რაზლოგის ოლქი სამწუხარო მდგომარეობაშია. სოფლები კვოჩევო და კრემენი ოსმალოს ჯარებმა აიკლეს. მცხოვრებნი ბულგარიას გარბიან.

პეკინი. მაისის 29-ს ჩინეთის ქვრივმა დედოფალმა ინახულა მუმმი.

ბელგრადი სახელმწიფო ცვლილება მოახდინა მე-6 რუმინიის მეფის სახელის პოლკმა, როგორც ამბობენ, პოლკოვნიკის მიშიჩისა და მაშინის თაოსნობით. მაშინი ჩაერიცხა ახალს კაბინეთში შენობათა მინისტრად. მისი ძმა დედოფალ დრაგას ქმრად იყო. სალდათები შეცვივდნენ ღამე მეფის სასახლეში და იმავე დროს კერძო სახლებში ლაზარე პეტროვიჩისა, ველიმირ ტედოროვიჩისა, მილოვან პავლოვიჩისა და დედოფლის ნათესავების სახლებში. როგორც ამბობენ, ესენი ყველანი მოკლულნი არიან. მეფე, დედოფალი და სხვანი, მოკლულნი დღეს უბრალო კუბოებით იქნებიან დამარხულნი; მეფეს ალბათ რაკოვიცის მონასტერში დამარხვენ, სხვებს-კი აქაურ სასაფლაოზედ.

ვენა. სერბიის ახალ მინისტრებს შიმკოვიჩსა და პროტიჩს, მეფე მილანის დროს მისაჯა დაპატიმრება თორმეტის წლით. ჩენჩინი ერთი უმთავრესი მოწინააღმდეგეთაგანი იყო დედოფლის დარაგასი და მეფე ალექსანდრეს დროს დასჯილი იყო მეფის შეურაცხყოფისათვის.

ბერნი. პეტრე კარაგეორგიევიჩი დღეს ისევ ჟენევაში იყო. ხუთის ნახევარზედ მიიღო ჟურნალისტები, რომელთაც უთხრა, რომ ოფიციალური ცნობა ჯერ არ მომსვლია, არ ვიცი წავალ თუ არა ბელგრადს, ან როდისაო, და არ ვიცი ნამდვილად თუ გამომაცხადეს მეფედაო.

ბელგრადი. გვარდიელებს, რომელნიც კონაკს იცავდნენ, თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწევიათ, ამბობენ,—ასზედ მეტი დაიხოცაო. ადიუტანტი პოლკოვნიკი ნაუმოვიჩი შევარდნილა მეფის საწოლ ოთახში და მოუთხოვია,—მეფობაზედ ხელი აიღეც. მეფემ მოღალატე უწოდა და მოჰკლა. შემდეგ ამისა ოფიცრებმა კაპიტან ნაგოვიჩის თაოსნობით დახოცეს კონაკში მცხოვრებნი. პოდპოლკოვნიკ მიშიჩმა ესროლა და მოჰკლა მეფე. ბოროტ მოქმედება ჩაიდინა ქვეითა პოლკმა, რომელიც ეხლახან მძიმედ დასჯილი იყო იმის გამო, რომ არ იხმარა იარაღი დემონსტრანტთა ბრბოს წინააღმდეგ. ბოროტ-მოქმედება აუწყეს ხალხს ზარბაზნის დაცლით. სამხედრო მინისტრი პავლოვიჩი დაიმალა ყუთში, რომელსაც 25 ტყვია ესროლეს. ყველა მაღაზიები და დაწესებულებანი დაიკეტა. მრავალი მცხოვრები გაიქცა. ზემლინიდგან დეპეშით დაიბარეს ბევრი ვაგონი ლტოლვილთა წასაყვანად. ბელგრადს მისვლა ძნელია, პასპორტიც რომ წარუდგინო. ოფიციალურ ცნობით მეფე დედოფლის გარდა მოკლულნი არიან დედოფლის ძმები,—ნიკოლა და ნიკოდიმ ლუნევიცები, ცინცარ-მარკოვიჩი, პავლოვიჩი, გენ. ადიუტანტი პეტროვიჩი, მეორე ადიუტანტი ნაუმოვიჩი, კაპიტანი მიმკოვიჩი და ლეიტენანტი გაგოვიჩი. მძიმედ დაიჭრნენ შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფი თეოდოროვიჩი, დუნაის დივიზიის უფროსი ნიკოლაიჩი. ახალი დროებითი მთავრობა ყოველ ღონისძიებასა ჰმართავს, რათა დაიცვას სამეფოში მშვიდობიანობა, რომელიც არსად არ დარღვეულა. თუმცა ჯარმა გამოაცხადა მეფედ ყარა-გეორგიევიჩი, მაგრამ ხალხის წარმომადგენელნი მოწვეულნი არიან გადასწყვიტონ ეს საქმე. დამტკიცდა, რომ არც და და არც დისწულები დედოფლისა არ დაღუპულან. მოკლულ იქმნა მხოლოდ ორი ძმა დედოფლისა. დაკრძალვა მოხდა ღამით სრულიად ჩუმად. ამ ამბავს ხალხი მშვიდობიანად მიეგება. ყარაგიორგიევიჩი მოვა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სკუპშჩინა და სენატი მეფედ გამოაცხადებს. ბელგრადის ქალაქის პრეფექტად დაინიშნა პოლკოვნიკი ბოგდნან დანიანოვიჩი. წინანდელ მთავრობის წევრთაგან ვინც-კი ცოცხალი გადარჩა, თავისუფალია. რადიკალთა მეთაურნი, რომელნიც აბაციაში სცხოვრებდნენ, გამოწვეულნი არიან დეპეშით ბელგრადს.

პეტერბურგის ბირჟა, 27 მაისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,35
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,60
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	100⅞ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95⅛ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	432½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	331 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	284¾ წვ, გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	90¼ გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	91¾ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები „ „ „ „	—
„კასპიის ამხანაგობისა.	3425 გაყ.
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	—
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	182 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) **ტფილისიდან მიდის:**

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 6 ს. 21 წ.

ბ) **ბათუმიდან გამოდის:**

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) **ბაქოდგან გამოდის:**

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) **ქუთაისიდგან გამოდის:**

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

ფოთისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

31 მაისისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1. მამედ ეფენდი მჟავანაძისა და იაკობ ბარსკის საქმე.
2. იოსებ ზაუტაშვილისა და დიმიტრი ტლაშაძის საქმე.
3. თ-დ მიხეილ ჩოლოყაევისა და ვლადიმერ ჟუკოვსკის საქმე.
4. საქულ ქირუმოვის, სვიმონ ღლიღვაშვილისა და ილია ოტაშვილის საქმე.

3 ივნისისათვის

1, არსენ კობახიძისა და ტრიფონ გურგენის ძის საქმე.
2, დიმიტრი ანდულაძისა და ნილოს გუგუნავას საქმე.
3. გუსარია ირემაძისა და მინა და პელაგია ავალიანების საქმე.
4, თებრო რომანოვის, გიორგი საგინოვის და გეურქ მიტუზოვის საქმე.
5, ნიკოლოზ ისაკაძისა და ალექსანდრე ქუთათელაძის საქმე.
6, ივანე ბედალოვის, ფრიდონ გოდაბრელიძისა და ანტონ აბანგიძის საქმე.

განცხადება

მოვიგონე მანქანა, რომლის შემწეობითაც შეიძლება ბევრნაირ სამეურნეო საქმის კეთება. მანქანა განუწყვეტლივ მოძრაობს უორთქლოდ და უელექტრონოდ. ვეძებ კომპანიონს ამ საქმის განსახორციელებლად. ფული მცირე საჭირო.

ალ. ბაკურაძე.

ადრესი: გუნიბის ქუჩა, სახლი ტერ-ავაქოვისა, მეწვრიმლის დუქანში.

(2—134—1)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

ჰიგიენური

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროვიზორის

გ. ფ. იურგენსისა.

აქრობს ჭორფლს, ნასიცხ—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი, ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კ. ½ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სახაფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, მოსკოვში. (40—6.—14)

სიღნაღის უეზდში ე. ს. გამრეკელის მამულში, სოფელს მუკუზანს იყიდება

თავი ღვინოები

წითელი და თეთრი 1,000 ვედრამდის.

დაწვრილებით ცნობებისათვის მიმართეთ მამულის გამგეს ს. მუკუზანში. (3—132—2)

ქუთაისში

ს. მ. ზ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

სიმღერა აკაკისა. ფასი		15 „
თამარ მეფის სურათი აკაკის ლექსით		6 „
პატარა ჩონგური ლექსი (დედა-ენა)		5 „
თამარ მეფე მოთხრობა აკაკისა		5 „
ვაჭრული ჭკუა, ლექსი აკაკისა		5 „
დათუნა გოცირიძე **როსტომ ერისთავი**	ძველებური ამბავი აკაკისა	5 „
აბრამის და იოვბის ლექსი		3 „
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)		5 „
ორი ძოსატყუილა **ბიჭია მენახირე** **მეფე და სკვინჩა**	ხალხური ზღაპარი.	10 „

ვინც მოისურვებს ამ წიგნების ყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіевская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

გამოვიდა და იყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

გამოვიდა და იყიდება ყველგან

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების" მიერ ახლად გამოცემული წიგნი

ბარტეკ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი"

წელიწადი მეთოთხმეტე

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი" მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი" ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კით. გამ. საზოგად." კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101) და თვით „ჯეჯილი"-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кад. детскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили".*

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 мая 1903 г. Типографія „Гутенбергъ" (кн. Гр. Діасамидзе, дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი ხარაჯიშვილი